თბილისი, საქართველო
თებერვალი, 2023

CRRC-საქართველოს
პოლიტიკის ნარკვევი

თბილისელ ამომრჩეველთა დემოკრატიული ორპირობა

2023

CRRC-საქართველოს შესახებ

CRRC-საქართველო არის არაკომერციული კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი მონაცემების ხელმისაწვდომობას საზოგადოებრივი სიკეთისთვის. ორგანიზაციის მისიაა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული დისკუსიის ხელშეწყობა სანდო, უახლესი, და ხელმისაწვდომი მონაცემების შეგროვებითა და ანალიზით.

ავტორები

დასტინ გილბრეთი, არარეზიდენტი უფროსი მკვლევარი
კონტაქტი: **dustin@crrccenters.org**

გივი სილაგაძე, მკვლევარი
კონტაქტი: **g.silagadze@crrccenters.org**

მადლობა

ავტორებს სურთ, მადლობა გადაუხადონ ლევენტე ლიტვეის (სოციალური მეცნიერებების ცენტრი, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია), კობა თურმანიძეს (CRRC-საქართველო), მარიამ კობალაძესა (CRRC-საქართველო) და დავით სიჭინავას (CRRC-საქართველო) ნარკვევის წინა ვერსიებზე გამოთქმული სასარგებლო რჩევებისთვის. ასევე, მადლობა CRRC-ის მკვლევარს მახარე აჭაიძეს ანგარიშის ვიზუალური გაფორმებისთვის.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი კვლევა CRRC-საქართველომ დემოკრატიის ეროვნული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CRRC-საქართველო და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს დემოკრატიის ეროვნული ფონდის შეხედულებებს

საავტორო უფლებები

© CRRC-საქართველო. ყველა უფლება დაცულია.

დოკუმენტს საავტორო უფლებები აქვს. ნებართვის გარეშე ნაშრომის სრული ან ნაწილობრივი თარგმნა, გამრავლება ან გავრცელება შესაძლოა, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენდეს.

სარჩევი

აბსტრაქტი.....5

შესავალი.....6

მეთოდოლოგია.....8

- მონაცემების შეგროვება.....8
- მონაცემების ანალიზი.....10

მიგნებები.....12

- ანტიდემოკრატიული ქმედებების მხარდაჭერა.....12
- დემოკრატიული ორპირობა.....13

დასკვნა.....17

წყაროები.....18

დიაგრამების სარჩევი

დიაგრამა 1. ანტიდემოკრატიული ქმედებების მხარდაჭერა.....12
დიაგრამა 2. რჩეული პარტიის მიერ არჩევნების მოგების ზღვრული ეფექტი.....15
დიაგრამა 3. ინდექსზე ნაწინასწარმეტყველები ქულები.....16

აბსტრაქტი

რამდენიმე ახალი კვლევა პოლიტიკის მეცნიერებაში დემოკრატიული ორპირობის იდეას სწავლობს, რაც გულისხმობს იმას, რომ ხალხი დემოკრატიულ ნორმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში უჭერს მხარს, თუკი მათი სასურველი პარტიაა ხელისუფლებაში. არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ამგვარი პრობლემა როგორც კონსერვატიული, ასევე ლიბერალური პარტიების მხარდამჭერებში არსებობს. კვლევები ამ ფენომენს ძირითადად განვითარებულ დემოკრატიებში სწავლობს, წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევი კი ჰიბრიდულ რეჟიმში არსებულ დემოკრატიული ორპირობის ფენომენს ეხება. კვლევა საზოგადოებრივი გამოკითხვის ფარგლებში ჩატარებულ ექსპერიმენტს ეყრდნობა და ამბობს, რომ საქართველოს დედაქალაქში მცხოვრებ ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილში დემოკრატიული ორპირობა შეინიშნება.

შესავალი

იდეალურ სამყაროში ამომრჩევლები, პარტიული სიმპათიების მიუხედავად, არადემოკრატიული ქმედებებისთვის ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას უნდა სჯიდნენ. თუმცა, კვლევები აჩვენებს, რომ როგორც კონსოლიდირებულ, ასევე არაკონსოლიდირებულ დემოკრატიებში, ამომრჩევლების მნიშვნელოვანი ნაწილის დამოკიდებულება არადემოკრატიული ქმედებების მიმართ დამოკიდებულია იმაზე, მათი სასურველი პარტიაა ხელისუფლებაში თუ არა. ამ ფენომენს ზოგიერთი მკვლევარი დემოკრატიულ ორპირობას უწოდებს.[1] წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევი საზოგადოებრივი გამოკითხვის ფარგლებში ჩატარებულ ექსპერიმენტს ეყრდნობა და დემოკრატიული ორპირობის ჰიპოთეზის საქართველოში შემოწმებას ისახავს მიზნად. კვლევის შედეგების მიხედვით, თბილისის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში დემოკრატიული ორპირობა შეინიშნება.

უკანასკნელ წლებში არამარტო საქართველოში ჩატარებულმა არჩევნებმა, არამედ ზოგადად ქვეყნის ერთგულებამ დემოკრატიული განვითარების მიმართ კითხვები გააჩინა. Freedom House-ის ქულები წლიდან წლამდე უარესდება.[2] ქვეყნებში დემოკრატიის ხარისხის შემფასებელი სხვა საერთაშორისო ინდექსები, მაგალითად, The Economist და V-Dem, ბოლო წლებში საქართველოს დემოკრატიულ უკუსვლაზე მიანიშნებს. ასევე, აღსანიშნავია ევროპარლამენტის კრიტიკული რეზოლუცია, რომელშიც საქართველოში დემოკრატიის ხარისხის შესუსტებასა და პრესის თავისუფლების გაუარესებულ სტანდარტზეა საუბარი.[3]

როგორც წესი, საქართველოს დემოკრატიული უკუსვლით შეშფოთებული ანალიტიკოსები და ექსპერტები ხელს იშვერენ პოლიტიკური ელიტებისკენ, როგორც უკუსვლის პროცესის მთავარი წარმმართველებისკენ. შედეგად, ამომრჩეველი ნაკლებ ყურადღებას იპყრობს და სათანადოდ გამოკვლეული არ არის.

წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევის კვლევითი შეკითხვებია: რამდენად უჭერენ მხარს თბილისში მცხოვრები ამომრჩევლები ანტიდემოკრატიულ პოლიტიკას? არის თუ არა ამომრჩევლების მიერ ანტიდემოკრატიული ქმედებების მხარდაჭერა დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი პარტია იქნება ხელისუფლებაში? კითხვებზე პასუხის გასაცემად 2021 წელს თბილისში ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვა და მის ფარგლებში მოქცეული

---

[1] Simonovits, McCoy, and Littvay, 2022.

[2] Freedom House, 2022.

[3] European Parliament, 2022.

ექსპერიმენტია გამოყენებული. მონაცემების მიხედვით, მმართველი პარტიის ამომრჩევლები უფრო მეტად უჭერენ მხარს ანტიდემოკრატიულ ქმედებებს, ვიდრე მიუმხრობლები და ოპოზიციის მხარდამჭერები. თუმცა, დემოკრატიული ორპირობით თანაბრად ხასიათდებიან როგორც „ქართული ოცნების“, ისე ოპოზიციის ამომრჩევლები.

წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევის სტრუქტურა შემდეგია: პირველ ნაწილში მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდებია მიმოხილული. შემდეგ მოცემულია მიგნებები, რომელიც ორ ნაწილადაა დაყოფილი (1) ანტიდემოკრატიული ქმედებების მხარდაჭერა და (2) მოსახლეობაში გავრცელებული დემოკრატიული ორპირობა. ნაშრომის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია დასკვნა.

მეთოდოლოგია

მონაცემების შეგროვება

თბილისის მოსახლეობაში გავრცელებული დემოკრატიული ორპირობის გამოსაკვლევად მოსახლეობის გამოკითხვის ფარგლებში ექსპერიმენტი ჩავატარეთ. გამოკითხვა 2021 წლის ოქტომბერში თბილისში ჩატარდა. გამოპასუხების დონემ 16.3% შეადგინა და გამოკითხვის ფარგლებში 1254 რესპონდენტი გამოიკითხა.[4] შერჩევის დიზაინი სტრატიფიცირებულ მრავალსაფეხურიან კლასტერულ შერჩევას მოიცავდა, რომლის ფარგლებშიც შერჩევის პირველად ერთეულს (PSU) საარჩევნო უბნები წარმოადგენდა. ინტერვიუები პირისპირი გამოკითხვის მეთოდით ჩატარდა (CAPI). გამოკითხვა თბილისის ზრდასრული მოსახლეობის წარმომადგენლობითია. შერჩევის შესახებ მეტი ინფორმაციის ხილვა ცხრილ 1-ზეა შესაძლებელი.

ცხრილი 1. შერჩევის აღწერა

ცვლადი	კატეგორია	ნედლი რაოდენობა	პროპორცია შერჩევაში	შეწონილი პროპორცია შერჩევაში
სქესი	კაცი	385	31%	43%
	ქალი	869	69%	57%
ასაკი	18-34	328	26%	35%
	35-54	384	31%	35%
	55+	542	43%	30%
ფორმალური განათლება	საშუალო ან დაბალი	521	42%	48%
	საშუალოზე მაღალი	733	58%	52%

[4] კვლევაში გამოყენებული მონაცემების ხილვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე.

ექსპერიმენტული დიზაინი

ექსპერიმენტის ფარგლებში რესპონდენტები შემთხვევითი წესით ორ ჯგუფად გავყავით. პირველ ჯგუფში რესპონდენტებს ვთხოვეთ, წარმოედგინათ, რომ შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და ხელისუფლების სათავეში დარჩა. მეორე ჯგუფში შემავალ რესპონდენტებს კი ვთხოვეთ, წარმოედგინათ, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგად ახლანდელმა ოპოზიციამ გაიმარჯვა და „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციაში გადაინაცვლა. ამის შემდგომ ორივე ჯგუფს ვკითხეთ, დაუჭერდნენ თუ არა მხარს ჰიპოთეტური საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული ხელისუფლების შემდეგ 10 ინიციატივას:

- გამარჯვებული პარტია აცხადებს, რომ დაიწყება გამოძიება არჩევნებში დამარცხებული პარტიის დაფინანსების წყაროების შესახებ;
- გამარჯვებული პარტია აცხადებს, რომ დაიწყება გამოძიება ოპოზიციური მედიის დაფინანსების წყაროების შესახებ;
- გამარჯვებული პარტია აცხადებს, რომ შეიზღუდება არჩევნების შედეგების გაპროტესტება;
- გამარჯვებული პარტია აცხადებს, რომ შემდგომი არჩევნებისთვის შეიზღუდება წინასაარჩევნო ეგზიტპოლების ჩატარება;
- გამარჯვებული პარტია აცხადებს, რომ კონსტიტუციას ოპოზიციის ჩართულობის გარეშე შეცვლის;
- გამარჯვებული პარტია აცხადებს, რომ საარჩევნო სისტემას ოპოზიციის ჩართულობის გარეშე შეცვლის;
- გამარჯვებული პარტია აცხადებს, რომ ოპოზიციას არცერთ მნიშვნელოვან საპარლამენტო თანამდებობას არ დაუთმობს;
- გამარჯვებული პარტია აცხადებს, რომ ოპოზიციის მხარდამჭერებს საჯარო სამსახურიდან გაათავისუფლებენ;
- გამარჯვებული პარტია აცხადებს, რომ პოლიტიკურ ოპონენტებზე მიყურადებას განახორციელებენ;
- გამარჯვებული პარტია აცხადებს, რომ დაიწყება გამოძიება არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების შესახებ;

მონაცემების ანალიზი

კვლევაში უნივარიაციული და მულტივარიაციული სტატისტიკური ანალიზის მეთოდებია გამოყენებული. დემოკრატიული ორპირობის ანალიზისას, კვლევა ძირითადად შემდეგ სამ ჯგუფს შორის არსებულ განსხვავებებს ეყრდნობა:

- მიუმხრობელი რესპონდენტები - ადამიანები, რომლებიც არცერთი პარტიის მიმართ არ აცხადებენ პოლიტიკურ სიმპათიებს;
- რესპონდენტები, რომელთა რჩეულმა პარტიამ არჩევნებში გაიმარჯვა;
- რესპონდენტები, რომელთა რჩეული პარტიაც არჩევნებში დამარცხდა;

საქართველოში მოსახლეობის დიდი რაოდენობა თავს იკავებს ხოლმე გამოკითხვებში პარტიული სიმპათიის დაფიქსირებისაგან. ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკითხვაშიც რესპონდენტების დაახლოებით ნახევარმა რომელიმე კონკრეტული პარტია არ დაასახელა. პარტიული სიმპათიის ცვლადის შესაქმნელად ჩვენ კუმულაციურ მიდგომას მივმართეთ და ამისთვის სამი სხვადასხვა საზომი გამოვიყენეთ: ა) პარტია, რომელიც რესპონდენტის შეხედულებებთან ყველაზე ახლოსაა, ბ) პარტია, რომელსაც რესპონდენტებმა ხმა მისცეს უკანასკნელ ეროვნულ არჩევნებში და გ) ტელევიზია, რომელსაც რესპონდენტები ყველაზე მეტად ენდობიან პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ჩვენ გონივრულ ვარაუდად ჩავთვალეთ, რომ რესპონდენტი მმართველი პარტიისადმი სიმპათიითაა განწყობილი, თუ მან ღიად არ დააფიქსირა პარტიული მხარდაჭერა, მაგრამ ამავდროულად განაცხადა, რომ ყველაზე მეტად ენდობა „იმედს“, „რუსთავი 2“-ს, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხს, „მაესტროს“, აჭარის ტელევიზიას ან „პოსტივის“. ასევე, რესპონდენტი ოპოზიციისადმი სიმპათიითაა განწყობილი, თუ მან ღიად არ დააფიქსირა პარტიული მხარდაჭერა, მაგრამ ამავდროულად თქვა, რომ ყველაზე მეტად ენდობა „მთავარ არხს“, „ფორმულას“, „კავკასიას“, „ობიექტივს“ ან „ტვ პირველს“. თუ რესპონდენტის პარტიული სიმპათიის მიხედვით კლასიფიცირება ზემოხსენებული სამი საზომის გამოყენების შემდეგაც ვერ მოხერხდა, ასეთ რესპონდენტებს კვლევის ფარგლებში მიუმხრობლებს ვუწოდებთ.

ანალიზისას ასევე გამოვიყენეთ სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ცვლადი, რათა გვენახა, რამდენად განსხვავდებიან ჯგუფები ანტიდემოკრატიული ქმედებების მხარდაჭერის თვალსაზრისით. უფრო კონკრეტულად, რეგრესიული ანალიზის მოდელებში შემდეგი ცვლადებია თავმოყრილი:

- ასაკობრივი ჯგუფი (18-34, 35-54, 55+);
- სქესი (კაცი ან ქალი);
- უბნის მდებარეობა თბილისში (მარცხენა ან მარჯვენა სანაპირო);
- სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ინდექსი;
- დასაქმება (მუშაობს ან არ მუშაობს);
- ფორმალური განათლების დონე (საშუალოზე მაღალი ან საშუალო/საშუალოზე დაბალი)
- დევნილის სტატუსი (სტატუსის მქონე ან არმქონე)
- ეთნიკური წარმომავლობა (ეთნიკურად ქართველი ან ეთნიკურად არაქართველი)

კვლევაში გამოყენებული მონაცემები საველე ექსპერიმენტის პარალელურად შეგროვდა. შესაბამისად, ექსპერიმენტის ანალიზისას ეს ცვლადები საკონტროლოდაც გამოვიყენეთ. კვლევაში წარმოდგენილი ანალიზის რეპლიკაციის კოდის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე.

მიგნებები

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ანტიდემოკრატიულ ქმედებებს მხარს არ უჭერს. თუმცა, პარტიულ ამომრჩევლებს შორის დემოკრატიული ორპირობა ნათლად შეინიშნება.

ანტიდემოკრატიული ქმედებების მხარდაჭერა

ჩამოთვლილი 10 ინიციატივიდან ექვსს მოსახლეობის 10%-ზე ნაკლები დაუჭერდა მხარს. (დიაგრამა 1). მიუხედავად ამისა, თბილისში დაახლოებით ყოველი მესამე ამომრჩეველი მხარს დაუჭერდა ახალი ხელისუფლების ინიციატივას არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების გამოძიების შესახებ. ყოველი მეოთხე ამომრჩეველი თბილისში მხარს დაუჭერდა ახალი ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ოპონენტის მედია გამოცემების ფინანსების გამოძიებას. ყოველი მეხუთე დაუჭერდა მხარს დამარცხებული პოლიტიკური ძალის დაფინანსების წყაროების გამოძიებას და დაახლოებით ყოველი მეექვსე თბილისელი დაუჭერდა მხარს მომავალ არჩევნებში ეგზიტპოლების შეზღუდვას.

დიაგრამა 1. ანტიდემოკრატიული ქმედებების მხარდაჭერა



ზემოხსენებული 10 შეკითხვა ერთიან ინდექსად გადავაკეთეთ, რათა უკეთ გაგვეგო, რომელი ჯგუფები უჭერენ მხარს ანტიდემოკრატიულ ქმედებებს უფრო მეტად. ინდექსი 0-დან 10-მდე მერყეობს; 0 გულისხმობს, რომ რესპონდენტმა არცერთ ინიციატივას არ დაუჭირა მხარი, ხოლო 10 – ათივე ინიციატივის მხარდაჭერას. ინდექსზე მოსახლეობის საშუალო ქულამ 1.4 შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ თბილისში ამომრჩევლები ჩამოთვლილი 10 ქმედებიდან საშუალოდ 1.4-ს უჭერენ მხარს. ადამიანები, რომლებიც

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობენ, 0.9-ით უფრო მეტ ანტიდემოკრატიულ ქმედებას უჭერენ მხარს, ვიდრე მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრები ადამიანები. მონაცემების მიხედვით, სხვა განსხვავებები სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის არ არის.

დემოკრატიული ორპირობა

ექსპერიმენტული ჩარევის შედეგად, რესპონდენტების 43% აღმოჩნდა ჯგუფში, რომლის რჩეული პარტია ჰიპოთეტური არჩევნების შემდეგ ოპოზიციაში იყო. 34% გადანაწილდა ჯგუფში, რომლის რჩეული პარტია ხელისუფლებაში აღმოჩნდა, ხოლო 23% დაჯგუფდა მიუმხრობელ ამომრჩევლებში.[5]

მონაცემები აშკარად მიანიშნებს თბილისში დემოკრატიული ორპირობის არსებობაზე. ჩამოთვლილი ათი ანტიდემოკრატიული ინიციატივიდან შვიდის შემთხვევაში, ამომრჩევლები, რომელთა სასურველმა პარტიამ არჩევნებში გაიმარჯვა, უფრო მეტად უჭერდნენ მხარს ანტიდემოკრატიულ ქმედებას, ვიდრე ამომრჩევლები, რომელთა სასურველი პარტია არჩევნებში დამარცხდა.

თუ ჰიპოთეტური არჩევნების შედეგად რესპონდენტის რჩეული პარტია ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა, 12 პროცენტული პუნქტით უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ ის მხარს დაუჭერდა ოპოზიციური მედიის დაფინანსებასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას, ვიდრე რესპონდენტი, რომლის რჩეული პარტია არჩევნების შემდგომ ოპოზიციაა.

---

[5] პარტიული კუთვნილების ცვლადს სამი პასუხის კატეგორია აქვს: მმართველი პარტიის მხარდამჭერები, ოპოზიციის მხარდამჭერები და უპარტიო ამომრჩევლები. ამ ცვლადის მისაღებად სამი სხვადასხვა კითხვა გამოვიყენეთ: ა) რომელი პარტიაა თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? ბ) რომელ პარტიას მიეცით ხმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე? და გ) რომელ ტელეარხს ენდობით ყველაზე მეტად? თუ ამ სამი კითხვის მიხედვით რესპონდენტის პარტიული სიმპათიის დადგენა ვერ მოვახერხეთ, ჩავთვალეთ, რომ უპარტიოა.

ექსპერიმენტის ფარგლებში რესპონდენტები შემთხვევითი წესით ორ ჯგუფად გავყავით. ერთ ჯგუფს ვთხოვეთ, რომ წარმოედგინა შემდეგ არჩევნებში ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა, ხოლო მეორე ჯგუფს ვთხოვეთ, წარმოედგინა, რომ მომავალ არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვა.

ექსპერიმენტისა და პარტიის ცვლადის გაერთიანებით, მივიღეთ საბოლოო ცვლადი, რომელსაც პასუხის სამი კატეგორია აქვს და რესპონდენტებიც, შესაბამისად, სამ ჯგუფად გაიყო: (1) რესპონდენტები, რომელთა რჩეულმა პარტიამ არჩევნებში გაიმარჯვა, (2) რესპონდენტები, რომელთა რჩეული პარტია არჩევნებში დამარცხდა და უპარტიო რესპონდენტები.

ამის მსგავსად, რესპონდენტი, რომლის რჩეული პარტია ხელისუფლებაშია, 10 პროცენტული პუნქტით უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ მხარს უჭერდეს საპარლამენტო თანამდებობების მხოლოდ გამარჯვებული პარტიის წარმომადგენლებით დაკომპლექტებას. ისინი, დამარცხებული პარტიების მხარდამჭერებთან შედარებით, 10 პროცენტული პუნქტით უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ მხარს უჭერდნენ საარჩევნო კოდექსის ოპოზიციასთან კონსულტაციის გარეშე შეცვლას.

გამარჯვებული პარტიის მხარდამჭერები ცხრა პროცენტული პუნქტით უფრო მეტად უჭერენ მხარს ოპოზიციის ჩართულობის გარეშე საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას, ვიდრე დამარცხებული პარტიის მხარდამჭერები.

ასევე, რესპონდენტები, რომელთა რჩეული პარტია ხელისუფლებაშია, რვა პროცენტული პუნქტით უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ მხარს დაუჭერენ არჩევნებში დამარცხებული პარტიის ფინანსების გამოძიებას.

თუ ჰიპოთეტური არჩევნების შედეგად რესპონდენტის რჩეული პარტია ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა, ექვსი პროცენტული პუნქტით უფრო მოსალოდნელია, რომ იგი არჩევნების შედეგების შესახებ გამოთქმული პროტესტის შეზღუდვას უჭერდეს მხარს. ასევე, ოთხი პროცენტული პუნქტით უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ ის მხარს უჭერდეს პოლიტიკურ ოპონენტებზე მიყურადებას.

დანარჩენ სამ ქმედებასთან დაკავშირებით ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ იყო: არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების გამოძიება, საჯარო სამსახურიდან ოპოზიციის მხარდამჭერების გათავისუფლება და შემდგომი არჩევნებისთვის წინასაარჩევნო ეგზიტპოლების ჩატარების შეზღუდვა.

აღსანიშნავია, რომ მიუმხრობელი ამომრჩევლების შეხედულებები ისეთივე გამოვიდა, როგორიც იმ ამომრჩევლებისა, რომელთა რჩეული პარტიაც ჰიპოთეტური არჩევნების შედეგად ოპოზიციაში აღმოჩნდა. შესაძლებელია, ითქვას, რომ ადამიანები, რომლებსაც კონკრეტული პარტიული სიმპათიები არ აქვთ, შედარებით ნაკლებად უჭერენ მხარს ანტიდემოკრატიულ ქმედებებს.

დიაგრამა 2. რჩეული პარტიის მიერ არჩევნების მოგების ზღვრული ეფექტი



შენიშვნა: *დიაგრამაზე 95%-იანი სანდოობის ინტერვალებია გამოსახული.*

დემოკრატიული ორპირობის უკეთ გასაანალიზებლად, ზემოხსენებული კითხვებით შევადგინეთ ინდექსი (0-10). ამის შემდგომ ინდექსზე რესპონდენტების გამოპასუხება იმის მიხედვით გავაანალიზეთ, ჰიპოთეტური არჩევნების შედეგად მათი რჩეული პარტია ხელისუფლებაში აღმოჩნდა თუ ოპოზიციაში. შედეგად, თბილისელები, რომელთა სასურველი პარტია ხელისუფლებაში აღმოჩნდა, საშუალოდ, 0.8-ით უფრო მეტ ანტიდემოკრატიულ ქმედებებს უჭერდნენ მხარს, ვიდრე ადამიანები, რომელთა რჩეული პარტია ოპოზიციაში აღმოჩნდა (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. ინდექსზე ნაწინასწარმეტყველები ქულები



შენიშვნა: *დიაგრამაზე 95%-იანი სანდოობის ინტერვალებია გამოსახული. ინდექსი 0-დან 10-მდე მერყეობს; 0 გულისხმობს, რომ რესპონდენტი ჩამოთვლილი ათი ანტიდემოკრატიული ქმედებიდან არცერთს უჭერს მხარს; 10 - ათივეს უჭერს მხარს.*

ზემოხსენებული ეფექტი არ განსხვავდება განათლების დონის, დასაქმების სტატუსის, შინამეურნეობის კეთილდღეობის, დევნილის სტატუსის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, ასაკობრივი ჯგუფის და საცხოვრებელი უბნის მიხედვით. ასევე, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები არც სხვადასხვა პარტიის მხარდამჭერებში შეინიშნება.

შედეგები აჩვენებს, რომ თბილისის ამომრჩევლებში დემოკრატიული ორპირობა საკმაოდ გავრცელებულია, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თუ პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად.

დასკვნა

საქართველოს გაუარესებული დემოკრატიული მმართველობის ფონზე, ამ ნარკვევში შევამოწმეთ ჰიპოთეზა დემოკრატიული ორპირობის შესახებ თბილისის მოსახლეობაში. დემოკრატიული ორპირობის ჰიპოთეზა გულისხმობს ამომრჩევლების მიერ ხელისუფლების ანტიდემოკრატიული ქმედებების უფრო მეტად მხარდაჭერას მაშინ, როდესაც მათი რჩეული პარტიაა ხელისუფლებაში. მიუხედავად იმისა, რომ ანტიდემოკრატიულ ქმედებებს მოსახლეობის უმრავლესობა მხარს არ უჭერს, თბილისის ამომრჩევლების მნიშვნელოვანი ნაწილი დემოკრატიულ ორპირობას ამჟღავნებს; თბილისელების ნაწილში ადამიანი დაუჭერს თუ არა მხარს ანტიდემოკრატიულ ქმედებებს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი პარტიაა ხელისუფლებაში.

დემოკრატიული ორპირობა თანაბრად პრობლემაა როგორც მმართველი პარტიის მხარდამჭერებში, ასევე ოპოზიციის მხარდამჭერებში. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებში გავრცელებულ დემოკრატიულ ორპირობასა და ოპოზიციის მხარდამჭერების დემოკრატიულ ორპირობას შორის არ შეინიშნება.

კვლევის შედეგები რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე მიანიშნებს: პირველ რიგში, პოლიტიკური პარტიები, რომლებიც იდეალურ შემთხვევაში ელექტორატის პოლიტიკური სოციალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აგენტები უნდა იყვნენ, ვერ ახერხებენ თავიანთი ამომრჩევლის მნიშვნელოვანი ნაწილის დემოკრატიული პრინციპებით აღჭურვას, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი პარტია იქნებოდა ხელისუფლებაში.

კვლევის შედეგები ასევე მიგვანიშნებს, რომ საქართველოში დემოკრატიზაციის შეფერხების წყარო მხოლოდ ელიტები არ არის. ის ფაქტი, რომ თბილისში ამომრჩევლებს დემოკრატიული ორპირობა ახასიათებთ, ნიშნავს, რომ ელექტორატში ანტიდემოკრატიული ძალებისთვის საკმაოდ ნოყიერი ნიადაგია.

ნარკვევი არსებულ კვლევებსაც ეხმიანება და აჩვენებს, რომ დემოკრატიული ორპირობის ფენომენი არამხოლოდ პოლარიზებულ განვითარებულ დემოკრატიებში არსებობს, არამედ ჰიბრიდულ რეჟიმებშიც, სადაც პოლარიზაცია რადიკალურად განსხვავებულ საჯარო პოლიტიკის ალტერნატივებში არ გამოიხატება.

წყაროები

European Parliament. 2022. “JOINT MOTION FOR A RESOLUTION on violations of media freedom and the safety of journalists in Georgia”. Available at: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/RC-9-2022-0300_EN.html?fbclid=IwAR2FxszaYce4T3PfoxIBLzSpBKnlvNO_i5cX6T7kjaLfdHhp7p9iGHIrNRU

Freedom House. 2022. “Freedom in the World”. Available at: https://freedomhouse.org/report/freedom-world

Simonovits, Gabor, Jennifer McCoy, and Levente Littvay. 2022. “Democratic Hypocrisy and Out-Group Threat: Explaining Citizen Support for Democratic Erosion” *The Journal of Politics.* 84, no. 3: 1806–1811